ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N11

2024 წლის 31 იანვარი
ქ. ამბროლაური

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახურის“ დირექტორის 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N01 დადგენილებით დამტკიცებული „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 143-ე მუხლის შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახურის“ დირექტორის ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ შეფასდეს დამაკმაყოფილებლად (ანგარიში თან ერთვის).
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N13).
3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ასლან საგანელიძე

ა(ა)იპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების

და კეთილმოწყობის სამსახურის დირექტორის ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

დასუფთავების და ნაგვის გატანის სამსახურში 2023 წლის განმავლობაში სამუშაოები მიმდინარეობდა შემუშავებული გრაფიკის მიხედვით,საჭიროების სემთხვევაში გრაფიკის გარეშეც.დასუფთავების და ნაგვის გატანის სამსახურში დასაქმებულია 42 მუშაკი,რომელთა მეშვეობით ხორციელდება ქ.მბროლაურში 71150 m^2 ქუჩების(4800 m^2—ით მეტი,ვიდრე გასულ წელს)15985 m^2 ტროტუარების(4500 m^2—ით მეტი ვიდრე გასულ წელს),19243 m^2 სკვერების ,6555 m^2 გაზონებისდასუფთავებითი სამუშაოები.აღნიშნული ქუჩების და ტროტუარების დასუფთავება მიმდინარეობს კვირაში 5–ჯერ. გარდა ამისა, სუფთავდება ქალაქის ორი საზოგადოებრივი საპირფარეშო ყოველდღიურად.

ქ.ამბროლაურის გარდა ხდება სოფლების ნიკორწმინდა,წესის და ჭრებალოს ცენტრალური მოედნებისა და საზოგადოებრივი საპირფარეშოების დასუფთავება .დასუფთავებისმმხრივ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მდგომარეობა ჩვენი შეფასებით დამაკმაყოფილებელია.

ნაგვის შეგროვების და გატანის მიზნით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებულია 716 კონტეინერი.მათ შორის ქ.ამბროლაურში 172 და სოფლებში (67 სოფელში) 544 ცალი კონტეინერი. ქ.ამბროლაურში კონტეინერების გაცლა მიმდინარეობს ყოველდღიურად, ხოლო სოფლებიდან კვირაში 4–ჯერ და ზაფხულის თვეებში კვირაში 6–ჯერ. ხშირია ნაგვის გატანის შემთხვევები გამოძახების მიხედვით. 2023 წელს შეგროვებულია და ნაგავსაყარზე გატანილია დაახლოებით 24800 m^3 საყოფაცხოვრებო ნაგავი . ამ სამსახურში ხშირია ნაგვის ურნების ფიზიკურად დაზიანების , მწყობრიდან გამოყვანის და ურნების გორგოლაქების მოპარვის შემთხვევები. საზოგადოებრივ საპირფარეშოებში უნიტაზების და დენის წყაროების დაზიანების და მოპარვის შემთხვევები.

დასუფთავებისა დავ ნაგვის გატანის სამსახურში 2023 წელს გამოყოფილი სუბსიდია 1018380 ლარი ,მათ შორის ხელფასი 593200 ლარი ათვისებულია მთლიანად.

გარე განათების გამართულად ფუნქციონირებისათვის ამ სამსახურში შრომობს 7 თანამშრომელი. სამსახურში ყოველდღიურად მიმდინარეობს მოწყობილობებისა და მასალების შეკეთების და შეცვლის სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის ტერირორიაზე განლაგებულია 6280 ცალი სანათი წერტილი.მათ შორის ქალაქ ამბროლაურის ტერიტორიაზე 1390 და სოფლებში და გზატკეცილებზე 4930 ცალი.გარე განათების ქსელის გამართული მუშაობისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება,რომელიც მოიცავს მწყობრიდან გამოსული სანათი მოწყობილობის შეცვლას , ამორტიზებული და დაზიანებული ელ.ბოძების შეცვლას და ახლით ჩანაცვლებას,დაზიანებული ელ.სადენების ახალი სადენებით შეცვლას. 2023 წლის განმავლობაში შეიცვალა შემდეგი მოწყობილობები და მასალები:

1.30 w ლედ ნათურა—1570 ცალი

2.26w ლედ ნათურა—645 ცალი

3.70w დროს. ნათურა70 ც.

4.150wდროს. ნათურა—47 ც.

5.5w ორფეხა ნათურა—105 ც.

6. 50w პროჯექტორი—70 ც.

7.20 wპროჯექტორი—95 ც.

8.400wდროს.ნათურა— 11ც.

9.ელ.სადენი 2X10—8350 მ.

10.ელ.სადენი 2,25—475 მ.

11.ელ.სადენი 2X4 —370 მ.

12.პლასმასის ლამპიონი—400 ც.

13.50w ლედ სანათი—515 ც.

14.ელ. გამშვები —70 ც.

15.ელ ჩამრთველი —80ც.

16.ფოტორელე —83ც.

17.იზოლენტი —145ც.

18.ელ.გადამყვანი—770 ფყ.

19.150 w დროსელი —50ც.

20.70wდროსელი—43ც.

21.იგნიტორი—66ც.

22.სადგამი ბრა —46 ც.

23.ბურთულა სანათი —90ც.

გარდა ამისა, ახლით ჩანაცვლდა 41 ელ.ბოძი და შეკეთდა 47 ცალი დაზიანებული ბოძი.

სამსახურში ძირითად პრობლემას წარმოადგენს ის,რომ მწყობრიდან გამოვიდა ერთი ამწე კალათა(აღდგენას არ ექვემდებარება)და მუშაობა გვიწევს ერთი ამწე კალათის მანქანით, რომელიც მოძველებულია და ხშირად საჭიროებს მიმდინარე შეკეთებას.ამის გამო არის შემთხვევები სამუშაო გრაფიკით მუშაობის ჩავარდნებისა. საჭიროა ერთი ამწეკალათიანი მანქანის შეძენა,რათა სამსახურმა შეძლოს წარმატებით შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა.

გარე განათების ქსელის მოვლა–პატრონობის სამსახურში 2023 წელს გამოყოფილი სუბსიდია 235720 ლარი ,მათ შორის ხელფასი 50904 ლარი ათვისებულია მთლიანად.

გამწვანების სამსახურში დასაქმებულია 9 თანამშრომელი.გამწვანების კუთხით შესრულებულია შემდეგი სახის სამუშაოები: მოხდა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების , ხეების შემობარვა და სასუქის მიცემა.შეთეთრდა ქალაქის ტერიტორიაზე და აეროპორტის მიმდებარე ქუჩაზე არსებული ხეები 890 ცალამდე.2–ჯერ მოითიბა გაზონები და სკვერები , ტროტუარებზე არსებული ბალახი შეიწამლა ჰერბიციდებით, შეიღება განათების ბოძები და კრიხულის ხიდის მოაჯირი.დაითესა კოინდარი განმეორებით 550მ² ტერიტორიაზე. რეგულარულად ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1595 ჰა ტყის მასივების დაცვითი სამუშაოები.უკანონო ქრას ადგილი არ ჰქონია.

მწვანე ნარგავების მოვლა–პატრონობის სამსახურში 2023 წელს გამოყოფილი სუბსიდია 100440 ლარი, მათ შ ორის ხელფასი 67980 ლარი ათვისებულია მთლიანად.

დატვირთული სამუშაო გრაფიკიდან გამომდინარე ხშირად გვიხდებოდა ტექნიკური ბაზის აღდგენა–შეკეთება . ყველა მანქანას ჩაუტარდა მიმდინარე და ძირეული შეკეთებითი სამუშაოები,რამაც განაპირობა ტექნიკური ინსპექტირების წარმატებით ჩატარება.

მიუხედავად იმისა, რომ მკვეთრად მოიმატა დასუფთავების სამსახურის მიერ შესასრულებელი სამუშაოების მოცულობამ სამსახური მზად არის აქტიურად წარმართოს საქმიანობა მომავალ საანგარიშო პერიოდშიც.

სამსახურის დირექტორი: /გ.გუჯეჯიანი/